პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №

## საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №40 საჯარო სკოლისათვის“ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, მიხეილ არახამიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შ ე ს ა ხ ე ბ

„მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის პირველი ივნისის №239 დადგენილების მე-7 მუხლის, „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის №194 ბრძანების დანართის 4[1] მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის, საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №40 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 28 იანვრის №5 ოქმისა და ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 31 იანვრის №14 ოქმის საფუძველზე:

**მუხლი 1.** გაიცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის „ქალაქ ქუთაისის №40 საჯარო სკოლისათვის“ პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, მიხეილ არახამიას სახელის მინიჭების თაობაზე.

**მუხლი 2.** წინამდებარე განკარგულება გაეგზავნოს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „ქალაქ ქუთაისის №40 საჯარო სკოლის“ სამეურვეო საბჭოს.

**მუხლი 3.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ. კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 4.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისი მუნიციპალიტეტის მერის
მოვალეობის შემსრულებელი

# განმარტებითი ბარათი

**„ქალაქ ქუთაისის მე-40 საჯარო სკოლისათვის პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის მიხეილ არახამიას სახელის მინიჭების თაობაზე თანხმობის გაცემის შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტთან დაკავშირებით**

**1. ზოგადი ინფორმაცია განკარგულების პროექტის შესახებ:**

**ა) განკარგულების პროექტის მიღების მიზეზი და მიზანი:**

მიხეილ (მიშა) არახამია დაიბადა 1939 წლის 15 სექტემბერს ჩხოროწყუს რაიონის სოფელ კირცხში. 1956 წელს მედალზე დაამთავრა კირცხის საშუალო სკოლა. იმავე წელს მოექყო ქუთაისის ალ. წულუკიძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1961 წელს, საშალო სკოლის მათემატიკისა და ფიზიკის მასწავლებლის სპეციალობით. მიხეილ არახამიას ეკუთვნის ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტისათვის (დღევანდელი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი) საბაზისო სკოლის შექმნის იდეა. მას აწუხებდა რა ინსტიტუტისათვის საბაზისო სკოლის არ არსებობა, სადაც სტუდენტებს ნორმალური პედაგოგიური პრაქტიკის გავლა შეეძლებოდათ, გაზეთ ,,ქუთაისში“ გამოაქვეყნა სტატია ,,მეტი დემოკრატია სკოლებს“. სადაც ასეთი სკოლის შესაქმნელად საუკეთესო ვარიანტად ნიკეას ქუჩაზე მშენებარე მე-40 საშუალო სკოლა დაასახელა, როლის დირექტორად იგი დაინიშნა 1989 წელს. მიხეილ არახამია 2002 წლიდან  დირექტორობასთან ერთად, შეთავსებით კითხულობდა ლექციებს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის პედაგოგიკის ფაკულტეტზე, სკოლამცოდნეობაში. მან თავისი პედაგოგიური გამოცდილება უნივერსიტეტში შემოქმედებითად გამოიყენა კოლეგებთან და სტუდენტებთან ლექცია-პრაქტიკებზე.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებულმა გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედმა კომისიამ 2025 წლის 7 თებერვლის სხდომაზე იმსჯელა და მიიღო რეკომენდაცია ქუთაისის N40 საჯარო სკოლისათვის მიხეილ არახამიას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით.

,,მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის პირველი ივნისის N239 დადგენილების მე-7 მუხლის, ,,საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანების, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის N40 საჯარო სკოლის“ პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 28 იანვრის N5 ოქმისა და ამავე სკოლის სამეურვეო საბჭოს 2025

წლის 31 იანვრის N14 ოქმის საფუძველზე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის N40 საჯარო სკოლისათვის" პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, მიხეილ არახამიას სახელის მინიჭების შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია აღნიშნულის შესახებ იმსჯელოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითმა ორგანომ.

განკარგულების პროექტის მიღებით თანხმობა გაიცემა საჯარო სამართლის იურიდიული პირის ,,ქალაქ ქუთაისის N40 საჯარო სკოლისათვის" პედაგოგისა და საზოგადო მოღვაწის, ამავე სკოლის დამაარსებლის, მიხეილ არახამიას სახელის მინიჭების თაობაზე.

**2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება:**

პროექტის მიღება არ არის დაკავშირებული ფინანსურ ხარჯებთან.

**3. განკარგულების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:**

განკარგულების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისია.

**4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი - დავით ერემეიშვილი.

**5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი პირი:**

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასთან არსებული გამოჩენილ პირთა პატივგებისა და სახელდების მუდმივმოქმედი კომისიის მდივანი გენადი კუჭუხიძე.

დავით ერემეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი